სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია.

წელიწადი პირველი.

შაბათი, დეკემბრის 28, 1918 წ.

ბრძოლაში ჰპოებ შენს უფლებას.

# შრომა

გაზეთის ფასი ათი შაური

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე გარდა უქმეების შემდეგ დღეებისა

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 10 მან., ცალკე ნომერი ყველგან ა თ ი შაური.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტისტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.

**სამგლოვიარო განცხადება:** 12 სიტყვამდის—15 მან., შემდეგ 20—შ.

**რედაქცია ღიაა დილის 10—2 ს.** რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—12 ს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис. Контора газ. „Шрома“, Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს კანტორა ვერ მიიღებს. კანტორა ღიაა დილ. 10—2 და საღამოს 5—7 სათ. რედაქციის სახელზე გამოგზავნილი წერილები უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, სუფთად და გარკვევით. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

**მისამართი:** Тифлис, Редакция „Шрома“, Барон. ул. № 16.

№ 111 ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 111

## ნომრის შინაარსი.

### წერილები:

**მეთაური.** დემოკრატია და გარეშე ძალები.

**დილიანი.** მეტი სიფრთხილე.

**მეგობარი.** ამხ. ივანე ფ. ჟორდანიას ხსოვნას.

— —

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა.

— —

ქ. ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.

— —

წერილი რედაქციის მიმართ.

### ცნობები:

ვილსონი ლონდონში ჩავიდა.

ბერლინში სპარტაკელებს და სამხედრო დარაჯებს შორის შეტაკება მოხდა. სპარტაკელები დამარცხდენ.

გერმანიის მთავრობამ საპროტესტო ნოტით მიმართა პოლონეთის მთავრობას გერმანიის ტერიტორიაზე პოლონეთის ნაციონალურ ყრილობის არჩევნების გამო.

ბუდაპეშტის მუშათა სხდომაზე გაიმარჯვა ზომიერთა პარტიამ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიურ გაზეთ

„შ რ ო მ ა“-ზე

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა, № 16, გაზ. „შრომა“-ს კ ა ნ ტ ო რ ა.

**ექიმი** ქალი რ. ბ. შიშლოსაგაშვილი.

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამის 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 8—26.

**ექიმი ი. კ. აბაკელია**

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 ს. პეტრე დიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

## განცხადება.

**თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა, სდგება მოხალისეთა რაზმები, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია ჩაწეროს, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.**

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897 და 1898 წლებში დაბადებული ახალგაზრდები.

არსებობს შემდეგი პირობები: 1—ყველა მოხალისეს, რომელიც სხვა და სხვა დაწესებულებებში მსახურებს—ადგილი შეენახება 2. სამხედრო მოქმედების შემდეგ ისინი განთავისუფლებული იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკირველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან--14 საათამდე და 16 ს.—18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი

7—6 გენერალ-მაიორი: **მაღალაშვილი.**

## კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ გზისათვის საჭიროა (1000) ათასი ფუთი ხორბალი და (2000) ორიათასი ფუთი სიმინდი

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კახეთის რკინის გზის სამმართველოში (ელისაბედის ქუჩა, № 73) სასურსათო კომიტეტის თავჯდომარე **ნ. ლეჟავასთან** 9—3 საათ. ტელ. № 7—50.

3—2

ქ. ТБИЛИСИ, დეკემბრის 28.

**დემოკრატია და გარეშე ძალები.** მოკავშირეთა გეგმები რუსეთის შესახებ თითქმის სავსებით გამორკვეულია. ბოლშევიკების დამხობა და რუსეთის აღდგენა—ასეთია ის ზოგადი მიზნები, რომლებსაც დღეს რუსეთში მოკავშირენი ისახავენ. ამ მიზნების განხორციელება გულისხმობს, როგორც აუცილებელ პირობას, რუსეთის შინაურ საქმეებში მოკავშირეთა აქტიურ ჩარევას. ასეთი პერსპექტივებით დაიმედებულნი და ზურგ გამაგრებულნი, რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერები უკვე ირაზმებიან. მათ დღეს არ სჭირდებათ დათმობა და ცერემონიები რუსეთის სხვა და სხვა დემოკრატიულ ელემენტებთან.

ამიტომ მოახდინეს მათ გადატრიალება ომფაში, ამიტომ ჰყავს ასე აბუჩად აგდებული დენიკინს ბიჩის მთავრობა. რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ორიენტაცია სავსებით გამოაშკარავდა. ეს არის ორიენტაცია გარეშე ძალაზე. შეუძლებელია ასეთმა გარემოებამ არ იქონიოს გავლენა დემოკრატიის ტაქტიკაზე, და აი ჩვენც ვხედავთ, რომ რუსეთში იწყება დემოკრატიის ფრონტის გაერთიანება. დემოკრატია გრძნობს, თუ რა მოჰყვება მის შინაურ საქმეებში გარეშე ძალების ჩარევას. ხომ ცხადია ყველასათვის, რომ უცხო ძალები რუსეთში მოდიან არა რუსეთის დემოკრატიის მშვენიერი თვალებისათვის, არამედ თავის გავლენის განმტკიცებისთვის, თავისი ეკონომიური ინტერესების უზრუნველსაყოფათ.

იმპერიალიზმის მიზნები დიამეტრალურად ეწინააღმდეგება დემოკრატიის ინტერესებს და, ცხადია, როცა პირველი ირაზმება და თავის ფრონტს აერთიანებს, მეორეს არ შეუძლია თავის თავს უღალატოს და საკუთარი ფრონტის გაერთიანებაზე არ იზრუნოს. ამიტომაც არის, რომ რუსეთის დემოკრატიის სხვა და სხვა ნაწილებში უკვე იზრდება სურვილი დაახლოვებისა და შეთანხმებისა. დემოკრატიამ უკვე იგემა, თუ რას ნიშნავს იმპერიალისტების ჩარევა შინაურ საქმეებში. ფინლიანდია და უკრაინა ამის საუკეთესო ნიმუშებია. დემოკრატიას არ შეუძლია არ შეებრძოლოს ჩარევის ყოველგვარ ცდას. ეს ასეც ხდება. ბაქოს პროლეტარიატი უკვე გაფიცვას აცხადებს. ბაქო კვლავ ღელავს და ეს ღელვა გამოწვეულია სწორედ შინაურ საქმეებში გარეშე ძალების ჩარევით. აშკარაა, დემოკრატია თავის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას არავის იოლად არ დაუთმობს.

იმ ძალებს, რომლებიც დღეს ჩვენსკენ მოდიან, მდგომარეობა აიძულებს ამ გარემოებას სერიოზული ანგარიში გაუწიონ.

## მეტი სიფრთხილე!

მასა, ხალხი, ძნელათ ასამოძრავებელია. მისი საერთო გაქან-გამოქანება განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. მაგრამ აბობოქრებულ მასას დიდი მორება ესაჭიროება. არაჩვეულებრივი ღონისძიებანია საჭირო, რომ მასიურმა მოძრაობამ სტიქიური, განმანადგურებელი ხასიათი არ მიიღოს. დიდი, ისტორიული სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ცვლილებები კი მასის გარეშე, მის საქმეში ჩაურევლათ არ ხდება. ფართო მასა უფრო ინსტიქტით მოქმედობს და მისი გამოსვლები უფრო ხელმძღვანელისადმი ნდობაზეა დამყარებული, ვინემ სად შეგნებაზე და კრიტიკულად მოვლენების გაშუქებაზე. ამიტომ საფრთხილოა მასა. მის ფსიხოლოგიასთან თამაში მეტად სახიფათოა. ჩვენ კი, ჩვენ მთავრობას ვერ ვამჩნევთ საჭირო წინდახედულებას და გამოცდილებას მასასთან დამოკიდებულების საკითხში. დღეს ერთ დებულებას გადაისვრიან ხალხში, ხვალ სულ მის საწინააღმდეგოს.

ამ გარემოებას დიდი არევ-დარევა შეაქვს საზოგადოების აზროვნებაში. გაურკვევლობა და გაუგებრობა ხალხს მოთმინებას უკარგავს და აბრაზებს. მოიგონეთ ბათუმის ისტორია. ერთ კვირაზე მეტი გავიდა ბათუმის დაკარგვის შემდეგ და ხალხმა კიდევ არ იცოდა დაკარგული იყო ბათუმი, თუ არა. ინფორმაცია სრულებით არ იყო მოწყობილი. ამით სარგებლობდენ ნაძირალები და სხვა და სხვა პროვოკაციული ხმებით ხალხს გონებას უჩლუნგებდენ და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებდენ. ეხლაც არაა ხალხი გამორკვეული თუ რაში იყო საქმე, როგორ და რა პირობებში დავკარგეთ ბათუმი. მართალია ბევრი ობიექტიური პირობები უშლიდა ხელს მთავრობას გაეფანტა ჭორები და ხალხისათვის ნამდვილი ცნობები მიეწოდებია, მაგრამ, უეჭველია, მის უუნარობას და სიმჩატეს ბევრი მიეწერება ამ შემთხვევაში. ქუთაისში ადმინისტრაციის განკარგულებით საშინელი ზარების რეკა ასტეხეს ბათუმის ისტორიის დროს, ყველას იარალისკენ მოუწოდებდენ. ხალხს თავზარი დაეცა, მეორეთ მოსვლა ეგონა. შემდეგ არაფერი. ასე ხალხთან თამაში არ შეიძლება, ხალხის აბობოქრება საშიშარია, რადგან მისი ძველ კალაპოტში ჩაყენება ძნელია და ზოგიერთ შემთხვევებში მოუხერხებელიც. დღესაც ძველი ისტორია მეორდება.

მთავრობა, პარლამენტი, ხალხი ყველამ იგრძნო, რომ უბედურ დაგვატყდა თავს, ყველამ შეიგ[ნო] რომ თავისუფლებას და სამშობლ[ოს] საფრთხე მოელის... ყველა ფე[ხზე] დადგა, აუარებელი მოხალისენი [შე]აწყდა, ჯარი და გვარდია ერთნეთს ასწრებდენ ფრონტისაკენ.

ომი სწარმოებს ოფიციალურათ და ფაქტიურათ. ხალხში კი დის ხმები, თითქოს ზავი იყოს ჩამოვარდნილი და ომი გათავებული. ნუ თუ კიდევ ახსნაა საჭირო, უ რა ტრაღიკული შედეგების მოტა შეუძლია ასეთ გარემოებას? მთავრობა ვალდებულია შეებრძოლოს ყოველივე ცდას, რომელიც ხალხს არევ-დარევას შეიტანს. ხალხს უნდა გავაგებინოთ რაშია საქმე, ერთნაირი გარკვეულობა უნდა შევიტანოთ მის აზროვნებაში, თორემ ძლიერ ცუდი შედეგების მოწამენი გავხდებით.

ყოველივე უტაქტო და უადგილო, დაუფიქრებელი სიტყვა ოფიციალური პირისა მომაკვდინებელ ნაყოფს გვაძლევს. ამას ვერ გრძნობენ ზოგიერთები ოფიციალური წრიდან.

დასასრულ კიდევ ვიმეორებ: მეტი სიფრთხილეა საჭირო, რომ მწარე შედეგების მოწამენი არ გავხდეთ.

**დილიანი.**

## სამგლოვიარო დეპეშა.

სენაკელი ამხანაგები ღრმა მწუხარებით დასტირიან უდროოთ გარდაცვალებულ ამხანაგის, ივანე ჟორდანიას ცხედარს.

**სენაკის კომიტეტი.**

## ახალი ამბავი.

მიიღება შემოწირულება ომში დახოცილ ქართველ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ.

○ **თბილისი.** 26 დეკემბერი. მთავრობის სახელზე გორიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: გორის მაზრის სოფელ ატოცის სომხობამ 22 დეკემბერს ქართველი ხალხის წარმომადგენლების თანდასწრებით დაადგინა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას სომეხ-ქართველთა შორის მომხდარ ომის გამო: ჩვენ სოფელ ატოცში მცხოვრებნი სომხები, ვგრძნობთ სომხეთის მთავრობის დიდ დანაშაულს ჩვენი მოძმე ქართველი ხალხის წინაშე. საშინელ ზიზღს და სიძულვილს უცხადებთ მათ, ვინც ქართველთა წინააღმდეგ გამოილაშქრა და უდანაშაულო მოძმეთა სისხლი დაღვარა, ამიტომ უცხადებთ საქართველოს მთავრობას სრულ ჩვენ ნდობას და მზათა ვართ დახმარება გაუწიოთ მას, თუ კი ჩვენი დახმარება მისთვის საჭირო იქნება.

**მინდობილობით არჩილ სტეფანოვი და არშაკ როსტომოვი.**

○ **ქ. ზინა მაჭავარიანმა** შემოსწირა ომში დახოცილ ქართველ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ ასი მან.

○ საგენ.-გუბერნატორო იმუშავებს სავალდებულო დადგენილებას 18—45 წლ. სომხების სამხედრო ტყვეებათ გამოცხადების შესახებ.

○ დეპეშა ჭიათურიდან. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა საზოგადო ყრილობა გმობს სომეხთა მიერ საქართველოზე მტრულ თავდასხმას და მზათაა სამშობლოს თავისუფლებისთვის თავი გასწიროს.

⊖ ოზურგეთის სამაზრო ერობის დეპეშა. ომიანობის გამო მოწვეული განგებო ყრილობა შორაპნის სამაზრო ერობის ხმოსანთა ესალმება თავისუფალ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და ხმა-მაღლა, მტერთა და მოყვარეთა საგასაგონებლათ აცხადებს, რომ იგი თავის ძალას, ენერგიას და ავტორიტეტს მთავრობას მოახმარს ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკის ქვეყნიდან მტრის შესამუსრავათ.

დეპეშა სიღნაღიდან. საქართველოს რადიკალ გლეხთა დემოკრატიული პარტიის სიღნაღის სამაზრო კონფერენცია მიესალმება საქართველოს მთავრობას და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას ძალათ-მოხვეულ ომის წარმოებაში.

⊖ **ნავთი.** ბაქოდან საქართველოში, ნავთი მილის საშვალებით პირდაპირ მოდის. ამ მოკლე ხანში ნავთის ქვები სრულიად აივსება.

⦶ **ხრეკა.** გაჩხრიკეს რუსთა ეროვნული საბჭო და შეიპყრეს 200-მდე სომეხი.

○ **ვ. ჯუღელის ჩამოსვლა.** ჩამოვიდა ფრონტიდან სახალხო გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი, რომელიც მოხსენებას წაიკითხავს ომის შესახებ.

⊖ **შეკითხვა პარლამენტში.** ვეშაპელმა შეკითხვა შეიტანა პარლამენტში იმის შესახებ იცის, თუ არა მთავრობამ, რომ სომხეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯამალიანი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედობს.

○ **სამტრედიის რაიონული რკინის გზის პროფესიონალური კავშირი** იწონებს საქართველოს მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯებს, ამასთანავე აცხადებს, რომ მთელი თავისი ძალ-ღონით ხელს შეუწყობს მთავრობას ომის ლიკვიდაციაში თანახმად მთავრობის მიერ გამომუშავებულ პროგრამისა.

თავმჯდომარე სამტრედიის რაიონულ გამგეობისა **კაკაბაძე.**

⊖ **დეპეშა ქუთაისიდან.** ისტორიულ ბედ იღბლის წყალობით ჩვენ ქართველ ებრაელებს წილად გახვდა მთელ ქართველ ერთან გავეზიარებია მისი ჭირ ვარამი, ყოველთვის მონაწილე ვიყავით, როგორც ერის უმაღლეს სიხარულისა და აყვავებისა, ეგრეთვე მისი უბედურებისა. ამ ისტორიულ მომენტში, როდესაც საქართველოს შესამჩნევ დემოკრატიას ემუქრება გარეშე მტერი ჩვენ ვერ დავრჩებით გულგრილნი მოცქირენი და ვალათ ვრაცხთ თავს ჩვენი მორალური და მატერიალური რესურსები მსხვერპლად მოუტანოთ ჩვენს სამშობლოს და მის დემოკრატიას.

○ **ქალ. თბილისის, გორისა და თელავის მაზრების ღენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება.** თანახმად მე-19 მუხლის V განყოფილების წესდებულებისა, შესახებ იმ ადგილების, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული ამით ვაცხადებ:

სომხების რესპუბლიკის მოქალაქენი და აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში მტრის ჯარებისაგან დაკავებულ ადგილებში მცხოვრებნი ჯარში გასაწვევ (18—45 წ.) რომლებიც კი სცხოვრებენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულნი არიან სამხედრო ტყვეებათ.

ზემოხსენებული ასაკის მქონე ამ დებულების გამოქვეყნებიდან ოც და ოთხი საათის განმავლობაში, იკრიბებიან ადგილობრივ კომისარიატში, აქედან იგზავნებიან სათანადო სამხედრო მაზრის უფროსის სამმართველოში გადასაცემათ სამხედრო უწყებისადმი, თანახმად წესებისა რომლებიც ინიშნებიან „სამხედრო ტყვეთა დებულებაში" გამოქვეყნებული სამხედრო უწყების ბრძანებაში რუსეთის სახელმწიფოსა 1914 წ. – № 697 მერმინდელი შესწორებით, სამხედრო უწყებისადმი ბრძანებისა 1916 წ.

ის პირნი, რომლებიც არ დაემორჩილებიან ამ დადგენილებებს მიჩნეულ იქნებიან მტრებათ საქართველოს რესპუალიკისა. დატუსაღებულნი იქნებიან და მათ ავლადიდებას მოექცევიან თანახმად მიღებული კანონმდებლობისა საქართველოს პარლამენტისადმი ამ 24 დეკ. 1918 წ.

თბილისის მილიციის უფროსის სამაზრო და სასოფლო კომისრებს ევალებათ იქონიონ ამ დებულების შესრულებაზე ჯეროვანი ყურადღება. და ყველამ ვალდებულების დამრღვეველ პირების ვინაობა დაუყონებლივ მომახსენოს მე

გენერალ-გუბერნატორი:

**შ. მაღლაკელიძე.**

# საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა.

14 დეკემბერი, დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ამხ. ილია ნუცუბიძე.** კამათი ამხ. ლ. შენგელაიას მოხსენების გარშემო სწარმოებს.

**ამხ. მიხ. ჭანიშვილი.** მეტად მძიმე და რთული საკითხია დასმული დღეს ჩვენს წინაშე, დასმულია საკითხი პროგრამის გადასინჯვის და შესწორების შესახებ. ეს პროგრამა კი ჩვენ გვიყვარს, შესისხლხორცებული გვაქვს, ის ჩვენი წმინდათა წმინდაა; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ როდესაც პროგრამის გადასინჯვაზეა ლაპარაკი აქ გაისმის ხმები ასეთ გადასინჯვის წინააღმდეგ. ეს პროგრამის გადასინჯვა ჩვენში იწვევს ერთგვარ სულიერ რეაქციას. ჩვენ გვწყენს, როდესაც მის გადასინჯვაზეა ლაპარაკი. პირადათ ჩემზე სწორედ ასე იმოქმედა ამ პროგრამის გადასინჯვის საკითხმა პირველათ. გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ მე მეწყინა, როდესაც მის გადასინჯვაზე დაიწყო ლაპარაკი.

მაგრამ ეს არის გრძნობა, ამხანაგებო. მას აქვს თავის გასამართლებელი საბუთები, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ამავე დროს, რომ თვით ჩვენი მსოფლმხედველობა პირდაპირ გვიკარნახებს ერთ წერტილზე არ გავიყინო და არ შევზღუდოთ თავისუფალი აზრი. თვით ჩვენი მსოფლმხედველობის ძირითადი მოთხოვნილებაა მოვლენათა დროზე გათვალისწინება და კრიტიკულ აზრით მისი დაფასება.

თვით ჩვენი მსოფლმხედველობა არა თუ ნებას გვაძლევს პროგრამის გადასინჯვა-შესწორებისა, არამედ პირიქით ეს მისი ერთი ძირითადი მოთხოვნილებათაგანია.

ეს უნდა გვახსოვდეს მუდამ ჩვენ და მაშინ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ის პსიქოლოგიური კონსერვატიზმი, რომელსაც ალაგი აქვთ ზოგიერთ ამხანაგებში და თვით ჩვენშიც—განელდება და ჩვენ შეძლება მოგვეცემა მოვახდინოთ ის საჭირო გადასინჯვა და შესწორება, რომელიც აუცილებელია დღეს. მაგრამ, როდესაც ყრილობაზე დასმულია საკითხი პროგრამის გადასინჯვის შესახებ, ლაპარაკი უნდა იყოს მხოლოდ მარტო ჩვენი პროგრამის, მის ზოგიერთ მუხლთა შესწორება-გადასინჯვაზე და არა თვით მსოფლმხედველობის გადასინჯვის შესახებ.

აქ ორი საკითხია: მსოფლმხედველობის და პროგრამის გადასინჯვა-შეწორება

ჩვენს ყრილობაზე, ჩემის აზრით, შესაძლებელია ლაპარაკი იყოს მხოლოდ პროგრამულ მუხლების შესწორება - გადასინჯვის შესახებ და არა თვით მსოფლმხედველობის რევიზიის შესახებ.

მართალია, პროგრამასა და მსოფლმხედველობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, მაგრამ არა ისეთი, რომ ყოველი მცირედი ცვლილება პროგრამული მუხლისა მოთხოვდეს თვით მსოფლმხედველობის სფეროში არსებით ცვლილებას. მსოფლმხედველობას ჩვენ ყრილობაზე, რასაკვირველია, ვერ გადავსინჯავთ და ეს არც სასურველია. მსოფლმხედველობის იდეოლოგიის პროგრამის თეორეტიულ მხარის განვითარება, შესწორება-გადასინჯვა მუდამ სწარმოებდა და სწარმოებს. თვით ჩვენი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო მისი განვითარება, შესწორება-გადასინჯვა. ამაშია ჩვენი მოძღვრების ძლიერი მხარე. მაგრამ ეს განვითარება-შესწორება ხდებოდა და ხდება თითქმის შეუმჩნევლათ. ამ შესწორება-გადასინჯვის, განვითარების დროს კი უნდა იყვეს დაცული ერთი უმთავრესი პირობა: ძირითადი პრინციპების ხელშეუხლებლობა.

დასაშვებია და სასურველიც მსოფმხედველობის ამ ძირითად პრინციპების ახალი, სხვანაირი დასაბუთება და მისი განვითარება.

ამ ნიშნის ქვეშ ჩვენი მსოფლმხედველობის განვითარება დიდი ხანია სწარმოებს. სავსებით მართალია მომხსენებელი, როდესაც ამბობს, რომ პროგრამის წინასიტყვობის ერთ ალაგას ეტყობა მ. კოვალევსკის თეორიის გავლენა. ეს მართალია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ ჩვენს პარტიულ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია სულ ამას მიაქციეს ყურადღება. მაგ. ლ. შიშკოს თავის წიგნში „Очерки по вопросамъ экономики и политики" აქვს სპეციალური სტატია მ. კოვალევსკის თეორიის წინააღმდეგ.

შემდეგ, ამხანაგმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თითქოს ჩვენი პროგრამა შედგენილი იყოს ფინანსიური კაპიტალის როლის მხედველობაში მიუღებლათ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვით ჩერნოვი პირველ ყრილობაზე, როგორც ოქმებიდან სჩანს, უკვე აქცევდა დიდ ყურადღებას ფინანსიურ კაპიტალის როლს.

გარდა ამისა თვით ჩვენ პარტიულ ლიტერატურაში ფინანსიურ კაპიტალის როლი საკმაოთ არის გაშუქებული. მაგ. ბოტინმა „Русское богатство"-ს ნომრებში (რა ნომერი არ მახსოვს) სპეციალური წერილები უძღვნა. ამ საკითხს შემდეგი სათაურით, თუ არ ვცდები, „Старый марксизмъ и современная соц. демъ".

როგორც სამართლიანათ აღნიშნა, მომხსენებელმა ჩვენს პარტიულ ლიტერატურაში იყო ცდა ჩვენი მსოფლმხედველობის ზოგიერთ მუხლთა ალბათ დასაბუთებისა, ვიტყოდი მე, ვინაიდან ამხ. კაჩაროვსკის წერილებში, რომელიც მოთავსებული იყო „Завѣты"-ში უფრო მსოფლმხედველობის ახალი დასაბუთების ცდა იყო, ვინემ მისი სრულიად გადასინჯვისა და შესწორების. როგორც ამბობდა მომხსენებელი ბოლო დროს თვით ჩერნოვიც ცდილობს თავი მოუყაროს და სისტემაში მოიყვანოს მთელი რიგი ამ შესწორებისა, რომლებიც შეტანილი იქნენ მსოფლმხედველობის მეტი ცხოველმყოფელობისათვის. ბოლო დროს ჩერნოვი თვით ცდილობს, ასე ვსთქვათ, ამ შესწორებათა ერთგვარ სისტემატიზაციას. როგორც ხედავთ ჩვენი მსოფლმხედველობის განვითარების, შესწორება-გადასინჯვის საქმე დიდი ხანია სწარმოებს, ეს აუცილებელიც და საჭიროც არის, მაგრამ დაცულ უნდა იყოს, როგორც თავში მოგახსენეთ, ერთი უმთავრესი პირობა: ძირითად პრინციპების ხელშეუხლებლობა.

**ამხ. გრ. მამამთავრიშვილი** აღნიშნავს იმ გარემოებას პროგრამის გადაშინჯვის საკითხი მეტად ძნელ პირობებში სწარმოებს, მით უმეტეს რომ ჩვენი მსოფლმხედველობის გადაშინჯვის საკითხი ჯერ არ დამდგარა; შემდეგ ეხება მომხსენებლის კერძო დებულებებს და ამბობს: შემცდარია მომხსენებლის აზრი იმის შესახებ, რომ საკმარისია სოციალისტები (მენშევიკები) მოექცნენ სათავეში მართვა-გამგეობის საქმეს რომ ღრმა სოციალური ცვლილებანი გატარდენ ცხოვრებაში; ეს ახლანდელ პირობებში შეუძლებელია, ვინაიდან ჯერ კიდევ პოლიტიკური თავისუფლება არ არის განმტკიცებული, მასაც მოელის საფრთხე.

ვერ დავეთანხმები მომხსენებლის იმ აზრსაც, თითქოს მიწის სოციალიზაციის დასაბუთება, რომელიც ჩვენს პროგრამაში არის, არ იყოს მისაღები ჩვენი ქვეყნისათვის; არც ის არის სწორი, თითქოს თემური მიწათმფლობელობა ჩვენში არ იყოს; პირიქით, თემი დღესაც არის შენახული ქიზიყში და საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში, ხოლო, რაც შეეხება იარაღებს, ის თვით ქართლის მრავალ ადგილას დღესაც თემურ მფლობელობის საფუძველზე იხმარება.

ხოლო კონკრეტიზაცია პროგრამისა (მიწის სოციალიზაციისა) ადგილობრივი ცხოვრების პირობების მიხედვით მომხსენებლის მიერ წამოყენებული სავსებით მისაღებია...

**ამხ. ა. გაგუა** ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აქ დასმული საკითხი მეტად სერიოზულია და მის გადაწყვეტას სანამ შევუდგებოდეთ საჭირო იყო მისი წინასწარი გაშუქება, დამუშავება და შემდეგ ამბობს: მსოფლმხედველობის გადაშინჯვა ასეთ პირობებში რასაკვირველია არ შეიძლება, ხოლო პროგრამული მუხლების კრიტიკულად განხილვა—მისაღებია; მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მომხსენებლის კრიტიკას ამ მხრივ ქონდა მხოლოდ უარყოფითი ხასიათი; მან მიგვითითა პროგრამის ამა თუ იმ დეფექტებზე, მაგრამ მის ნაცვლად თვისი საკუთარი დებულება არ წამოუყენებია; [illegible] თანხმებით მომხსენებლის აზრი, თითქოს ხორბლის კულტურის [illegible] განსაკუთრებულ ნიადაგს წარმოადგენდეს მიწის სოციალიზაციისათვის.

რაც შეეხება მიწის სოციალიზაციის კონკრეტიზაციის საკითხს, ეს სასურველია, მაგრამ ამით პროგრამულ მოთხოვნილებათა შეკვეცას არ უნდა ექნეს ადგილი. ასეთ შეკვეცას თვით ცხოვრება აწარმოებს თეორიის სინამდვილეში განხორციელების დროს.

უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ მომხსენებლის დებულებებში, განსაკუთრებით მიწის საკითხის გადაჭრას როცა შეეხო ის პრაკტიკულად, არ იყო ნათელი, ერთი ის, თუ ვის უნდა გადაეცეს კონკრეტიულად ეს მიწა, თემს, ერობას, სახელმწიფოს, თუ ვის?

და მეორე: მომხსენებლის აზრით, „პერედელების" ნაცვლად უნდა იქნეს შემოღებული ზედმეტ ნაჭრების დაბეგვრაო; მაგრამ არ არის გარკვეული, სანამდი გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა და როგორი უნდა იქნეს აქიდან გამოსავალი? საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება...

ამხ. პ. **ქავთარაძე**: მომხსენებელმა ყურადღება მიაქცია თავის მოხსენებაში მიწის საკითხს, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მიწის საკითხი ერთი უდიდესი მნიშვნელობის საკითხთაგანია მეურნეობის ქვეყნებისათვის განსაკუთრებით,—და მას დიდ ყურადღებას აქცევდენ ყოველთვის ჩვენს პარტიულ ლიტერატურაში.

რაც შეეხება ჩვენი მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ და სოციალოგიურ დასაბუთებას, მათ შესახებ სჯა-ბაასი აქ ყრილობაზე არაფერს მოგვიტანს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მეცნიერების განვითარებამ (სხვათაშორის ბიოლოგიამ) უფრო გაამართლა ჩვენი თეორია, ვინემ მარქსისტების.

ამრიგათ, უმჯობესია აქ ვიმსჯელოთ პროგრამის ამა თუ იმ მუხლზე. ეს უფრო მეტ სარგებლობას მოგვიტანს; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრარულს საკითხს—მის დეტალიზაციას და კონკრეტიულ ფორმებში ჩამოსხმას. ჩვენი სინამდვილის მეტად მწვავე საკითხს წარმოადგენს იგი, და განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მას ჩვენ, ესერები, ვინაიდან ეს საკითხი დღეს პრინციპიალური მსჯელობის საგანი კი არ არის, არამედ ცხოვრებაში გატარების ფაზისშია უკვე გადასული.

საჭირო და სასურველი იქნებოდა, რომ მომხსენებელს ამ საკითხისათვის მეტი ადგილი დაეთმო თვის მოხსენებაში.

რაც შეეხება, საერთოდ, პროგრამულ საკითხებს,—მთდამი მომხსენებლის დამოუკიდებულება უფრო უარყოფით კრიტიკას წარმოადგენს, ვინემ დადებით მუხლებს. ერთში კი მართალია მომხსენებელი: პროგრამული მოთხოვნილებანი ჩვენ უნდა შევუფარდოთ ადგილობრივ ცხოვრების პირობებს; რუსეთის ცხოვრების პირობები ბევრად განსხვავდება ჩვენისაგან,—ეს უნდა გვახსოვდეს.

შემდეგ აცნობს სხდომას სენაკის სამაზრო კონფერენციის დადგენილებას პროგრამულ დებულებათა შესახებ და ამბობს: მართალია, კონფერენციამ ნაადრევად მიიჩნია შესწორებათა შეტანა პროგრამულ მუხლებში, მაგრამ მე პირადათ მგონია ჩვენი ქვეყნის სინამდვილესთან შეფარდება ჩვენი მოთხოვნილებათა—მხოლოდ სასარგებლო იქ-

ნება ჩვენი პარტიული ვითარებისთვის.

ვინაიდან ჩაწერილთა რიცხვი დიდია, ყრილობამ დაადგინა განისაზღვროს ლაპარაკის დრო ხუთი წუთით (თუთხმეტის ნაცვლად).

**ამხ. ილ. თევზაძე**: მე მხოლოდ ზოგად მოსაზრებებს მოგახსენებთ: მუდმივი, რასაკვირველია, არაფერია, არა თუ პროგრამა, არამედ თვით მეცნიერება, თვით მსოფლიოც. ცვლილების შეტანის სურვილი, თავისთავად უკანონო არ არის, მაგრამ არის კი ამის საჭიროება? ოპონენტებს, რომელნიც ჩვენი პროგრამის ადგილობრივ ცხოვრების პირობებთან შეფარდებას მოითხოვდენ, ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ჩვენი მოძღვრება არის ინტერნაციონალური; თუ ჩვენ ჩვენი პროგრამა შევასწორეთ ადგილობრივი პირობების მიხედვით, მაშინ ის არ გამოდგება, ვთქვათ ადერბეიჯანისთვის, ან სომხეთისთვის, მაშინ პროგრამას ინტერნაციონალური ხასიათი დაეკარგება. ჩვენი პროგრამა არა მარტო რუსეთის სინამდვილისთვის გამოდგება, არამედ ყოველი ქვეყნისათვის, ის ყველა ქვეყნისთვის მისაღებია...

**ამხ. გრ. კვაშალი**. აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ჩვენი პროგრამა სხვა საფუძველზეა აშენებული, ვინემ მარქსისტების, რომ აქიდან გამომდინარეობს ჩვენი შეხედულება გლეხობაზე, როგორც მშრომელი ხალხის უდიდეს ნაწილზე და შემდეგ ამბობს: მიწის სოციალიზაციის პროექტის გამომუშავების დროს კომპრომისებს არ უნდა ქონდეს ადგილი, ჩვენ კი არ უნდა შევკვეცოთ მისი შინაარსი, არამედ გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ იგი...

სხდომა გადაიდო საღამოს 5 საათისთვის.

## ამხ. ივანე ფარნას-ძე ქორდანია.

ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ამხ. ივანე ფარნასძე ქორდანია.

ამხ. ივანე იყო. სოფ ცაიშის, ზუგდიდის მაზრის მცხოვრები.

მამამ ის ადრე მიაბარა სკოლაში და ამხ. ვანო ერთ თვალსაჩინო მოწაფეთ ითვლებოდა გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა თბილისში...

1905 წელში მან ჯერ კიდევ ახალგაზდამ სულ 17 წლისამ ქ. ზუგდიდში პირველად აღმართა სოც.-რევ. დროშა და ამ დღიდან ის ითვლება და ერთ თვალსაჩინო წევრად ხდება სოც. რევოლიუციონერთა პარტიის. საერთაშორისო ომის გამოცხადებისას ის შედის სამხედრო სამსახურში და უკანასკნელ დროს მას ვხედავთ პარუჩიკათ.

რევოლიუციის შემდეგ ის ცხოვრობს ქუთაისში და აქ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რევოლიუციონურ ორგანიზაციებში.

მუშაობს ჯარისკაცთა საბჭოში, სადაც მას თავმჯდომარეობის ადგილი უკავია.

სულ უკანასკნელ დროს ის სტოვებს სამსახურს და ჩამოდის თავის სამშობლო სოფელში და აქ ეწევა შინაურ და პარტიულ ცხოვრებას.

სამაზრო საერობო არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს! და ზუგდიდის მაზრის დემოკრატია აფასებს მას და ერობის ხმოსნად ირჩევს, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ის მოგვტაცა.

ვგლოვობ მას და სხვა ამხანაგებთან ერთად ვიზიარებ საერთო მწუხარებას.

მეგობარი.

დეპეშა გაუგზავნა: ვიმედოვნებ, რომ სანუგეშო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის იცოდეს, რომ მისი შვილები აქ ვნახე სულიერათ და ფიზიკურათ ჯანსაღი, მათ პატივსა სცემს ყველა ვისთანაც ისინი მხარდამხარ იბრძოდენ.

ვოლფის სააგენტო სიცრუე. სტრასბურგი. ბევრ გერმანულ გაზეთში მოთავსებული ვოლფის სააგენტოს დეპეშა ამტკიცებს, რომ ელზასში დარჩენილ გერმანელებს საფრანგეთის ადმინისტრაცია ძალიან ცუდათ ეპყრობა. სააგენტო განსაკუთრებით ამტკიცებს, რომ ბევრი ახალგაზრდა გერმანელი მოაშორეს თავის ოჯახებს და ბელგიაში ან ჩრდილოეთ საფრანგეთში გაგზავნეს შრომის ბეგარის მოსახდელათ. არც ერთი ეს ცნობა სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. ის გერმანელნი, რომელნიც იძულებულნი იყვენ რეინზე გადასულიყვენ, არავითარ შევიწროებას არ განიცდიან. არც ერთი გერმანელი არ გაგზავნილა არც ბელგიაში, და არც ჩრდილოეთ საფრანგეთში. დააპატიმრეს მხოლოდ ის პირნი, რომელნიც განსაკუთრებით ავიწროვებენ ელზასელებს. ომის დროს და მათდამი ზიზღის გამოჩენაში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი. მაგალითათ, საგანგებო ტრიბუნალის მოსამართლენი, რომელთა მეთაური ბარონი იყო, როგორც საგანგებო ტრიბუნალის თავმჯდომარე, ის ათასობით აპატიმრებდა ინგლისელებს და საკატორღო სამუშაოზე გზავნიდა.

# ბოლშევიკების ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

**მოსკოვი**, 24 დეკემბერი. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი

**დვინსკი**, 24 დეკემბერი. სადგურ ნოვოსვენციანში ადგილობრივმა კომუნისტებმა რკინის გზის მოსამსახურეების დახმარებით ხელთ იგდეს მოწინაამდეგეს მატარებელი.

ყველა გუბერნიის, ქალაქის, მაზრის და ოლქის აღმასრულებელ კომიტეტებს და ყველა ადგილობრივ საბჭოთა დეპუტატებს ევალება მიიღოს ენერგიული ზომები შრომის ბეგარის ცხოვრებაში გასატარებლათ. თავმჯდომარე **სვერდლოვი**.

**ვილნო**, 25 დეკემ. ვილნოს საბჭომ აკრძალა სურსათის გაზიდვა, საბარგო მატარებელზე კანტროლი შემოიღეს. აღმოჩნდა, რომ ტარიბს ვაგონით გაუგზავნია იარაღი პროვინციაში თეთრგვარდიელებისთვის. რკინის გზის მუშებმა ვაგონი დააკავეს. მუშებსა და გერმანელ ადმინისტრაციას შორის მოხდა შეტაკება. დააპატიმრეს 40 მუშა და საბჭოს გარეკით დაემუქრენ. საბჭომ მოითხოვა დაპატიმრებულთა განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთო გაფიცვით დაემუქრა. ტყვეები არ გაანთავისუფლეს. გაფიცვები დაიწყო. ქალაქში ლეგიონერები მოვიდენ. პოლონეთის კომიტეტი პროკლამაციებში მოუწოდებს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველათ. საბჭომ მუშებისგან მილიცია შეადგინა. ხალხს იმედი აქვს, რომ მოვლენ წითელგვარდიელნი, რომლებიც დარბევას ააცილებენ მცხოვრებთ.

**ბერლინი**, 22 დეკ. დრეზდენში პარტაკელებსა და სამხედრო დარაჯებს შორის ისევ მოხდა შეტაკება. მთავარ სადგურთან მათ შორის სროლა იყო. გაზეთ საუბრის ბიუროს განაცხადა, რომ მთავრობა ვერ გარეკავს დამფუძნებელ კრებას, სანამ ბურჟუაზიული პარტია უმრავლესობას არ შეადგენდეს.

**ნაუენი**, 25 დეკ. გერმანიის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას საპროტესტო ნოტით მიმართა გერმანიის ტერიტორიაზე პოლონეთის ნაციონალურ ყრილობის არჩევნების გამო. გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ ის არ მისცემს არჩევნების ნებას, სანამ სამშვიდობო კონფერენცია არ გადასწყვეტს საზღვარის საკითხს გერმანიასა და პოლონეთს შორის.

**ინგლისური პრესა**, 25 დეკემ. 27 დეკემბერს ვილსონი ჩავა ლონდონში, სადაც ის 4 დღეს დარჩება. ვილსონი თავის მეუღლით ბინათ იქნება მეფესთან ბუკინგამის სასახლეში.

თებერვალში ჰელიკო ინგლისიდან გაემგზავრება ავსტრალიაში იქაურ ფლოტის მდგომარეობის გამოსარკვევათ.

რუსეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრმა მილიუკოვმა ინტერვიუს დროს სთქვა, რომ რუსეთში მოხდა ისეთი კატასტროფა, რომლის მგზავსი არ ახსოვს ისტორიას. მოკავშირეთა ჩარევა აუცილებელი იყო. ამ ერთი წლის წინათ მოკავშირეთა მცირედ დახმარებასაც შეეძლო რუსეთის გადარჩენა, ახლა კი ამისთვის დიდძალი ჯარია საჭირო, რუსეთში მცხოვრებთა 99%, მათ შორის ზომიერი სოციალისტებიც, მომხრე იყვენ მოკავშირეთა ჩარევაზე რუსეთის საქმეში.

შეიდემანმა თავის სიტყვაში, დამფუძნებელ კრების არჩევნების რეზოლიუციის შესახებ სთქვა, რომ საბჭოები აუცილებელი ინსტიტუტები იყვენ, მაგრამ ისინი არ უნდა დარჩენ სამუდამოთ. ხალხის უმრავლესობა უარყოფით შეხვდებოდა მათ დიქტატორობას, ხალხის სრული დაკმაყოფილება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია.

**ფრანგული პრესა**, 25 დეკემბერი. პრეზიდენტმა ვილსონმა ვაშინგტონში „თეთრ სასახლეს" შემდეგი

# საზღვარ-გარეთ

საქართვ. დეპ. სააგ.

**ანგლო-ფრანგული დეკლარაცია**

პარიზიდან იუწყებიან: „საფრანგეთის მთავრობამ ინგლისთან შეთანხმებით გამოაქვეყნა შემდეგი რეზოლიუცია:

უმთავრესი მიზანი; რომლისათვისაც საფრანგეთი და დიდი ბრიტანია აღმოსავლეთში გერმანეთს ეომებოდა, არის სრული განთავისუფლება იმ ერებისა, რომელნიც ამდენი ხნის განმავლობაში იტანჯებოდენ და მთელი ძალა-უფლების ეროვნულ მთავრობათათვის გადაცემა, რომელიც მცხოვრებთა მიერ თავისუფლად არჩეული იქნება.

რომ განხორციელებულ იქნას ეს მიზნები საფრანგეთმა და ინგლისმა გადასწყვიტა ეროვნული მთავრობები შექმნას სირიაში და მესოპოტამიაში, რომელნიც უკვე გაანთავისუფლა მოკავშირეებმა, და აგრეთვე იმ ტერიტორიებზე, რომელნიც მომავალში განთავისუფლდებიან. საფრანგეთსა და ინგლისს არ უნდა ამ ხალხებს თავს მოახვიოს თვისი წესი მართვა-გამგეობისა, ხოლო უნდათ უზრუნველყონ წვრილ მთავრობათა თავისუფალი შექმნა, ყველასი უფლებრივი გათანასწორება, ხელი შეუწყონ ზემოხსენებულ მხარეთა ეკონომიურ გინვითარებას, სწავლა-განათლების გავრცელებას და მოსპობას უთანასწორობისა, რომელსაც ხელს უწყობდა ოსმალეთის მთავრობა. ასეთია ის მიზნები. რომელიც ორმა მოკავშირე სახელმწიფომ, ინგლისმა და საფრანგეთმა დაისახა.

**კონსტანტინოპოლის დაჭერა**

არტილერიის ბათალიონმა კონსტანტინოპოლის მთელი მხარეები დაიჭირა სან-სტეფანო სრულიად დაჭერილ იქნება.

საბერძნეთის გაზეთების სიტყვით ფრანგთა ჯარის რიცხვი კონსტანტინოპოლში 20 ათას აღემატება. ისინი მშვენივრად შეიარაღებულნი არიან არტილერიით.

**მოკავშირეთა ოკუპაცია.**

ოსმალეთის მთავრობის შეკითხვის თანახმად მოკავშირეებმა კონსტანტინოპოლში უპასუხეს, რომ მათ ქალაქის ოკუპაციის მიზანი სრულიად არა აქვთ და თუ ჯარის გადმოსხმის დროს რაიმე ვაუგებრობა მოხდა, ყველაფერი გამოძიებულ იქნება. მოკავშირეთა ჯარისკაცების უწესრიგობაზე ოსმალეთის პოლიცია ვალდებულია მოკავშირეთა წარმომადგენლებს აცნობს.

**გალიპოლი.**

28 ნოემბერს მოკავშირეებმა პორტას აუწყა გალიპოლის მომავალ დაჭერაზე.

**ოსმალეთი და მოკავშირეები.**

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალური პრესა ძალზე აღელვებულია მოკავშირეთა მოქმედებით და კონსტანტინოპოლის ოკუპაციაში გადამეტებულ სიმკაცრესა და მოკავშირეთა შურის ძიებას ხედავს. გაზეთები აცხადებენ, რომ ოსმალეთის მთავრობა არასოდეს არ მოაწერდა ხელს საზავო პირობებზე რომ სცოდნოდა თუ როგორ ბოროტად გამოიყენებდა მას მოკავშირეებ.

პირობების თანახმად ჯარის განაწილება უნდა მოხდეს ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებით. გაზეთები აგრეთვე სწერენ: „თუმცა ოსმალეთს ოკუპაციას უპირებენ, მაგრამ იგი არ დამარცხებულა და ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი დამცირებანი ავიტანოთო.

**ოსმალოს უფლებათა დაცვა.**

ოსმალეთის უნივერსიტეტის პროფესორებმა გადასწყვიტა ორი კომისიის გაგზავნა: ერთის ევროპაში, ხოლო მეორეს ამერიკაში, ოსმალეთის უფლებათა დაცვისათვის.

**გერმანია და ოსმალეთი**

გერმანეთის მთავრობას დარჩენილ მისაცემ ოსმალურ სესხზე, ოსმალეთის მთავრობამ უარით უპასუხა.

**ოსმალეთი და ზავი.**

ინგლისის მთავრობის მიერ ოფიციალურად მტკიცდება, რომ საზავო მოლაპარაკება ოსმალეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის დასასრულს აღწევს. ხოლო მასთან ერთად შინაური ანარქია ოსმალეთის მხრივ საზავო პირობების რიგიანად ასრულებას ძალზე ხელს უშლის. ამის გამო ინგლისის წარმომადგენლები ამ მხრივ გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებიან.

**კონსტანტინოპოლს ბედი.**

ლონდონის „Near East"-მა სტატია მოათავსა ამ სათაურით: „კონსტანტინოპოლის საკითხი", რომელშიც კონსტანტინოპოლის ამერიკისათვის გადაცემას მოითხოვს. გაზეთის აზრით ეს ინტრიგის ბუდე უნდა მოისპოს. ამ მხრივ შეუსვენებელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს. საერთაშორისო ზავი არ იქნება ხანგრძლივი, თუ კონსტანტინოპოლში ოსმალების მართვა-გამგეობა არ შეწყდა. („პ")

**ინგლისელების მოწოდება ბოლშევიკების მიმართ.**

როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან ჩრდილოეთის ასპარეზზე ინგლისელების მფრინავები ჰაეროპლანებიდან მოწოდებებს ჰყრიან. მოწოდებაში ბოლშევიკებს წინადადებას აძლევენ დაჰყარონ იარაღი, ხელი აიღონ შეთანხმების ჯარების წინააღმდეგ მოქმედებაზე, მოსპონ ბოლშევიკების ბუდეები დაწესებულებანი და იხსნან რუსეთის ხალხი არსებულ ძალადობისაგან. დამნაშავენი კი დამფუძნებელ კრებას გადასცენ გასასამართლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისი მოწოდებაში იმუქრება იმით, რომ ამ მოკლე ხანში დიდი სამხედრო ძალებით შეტევას დაიწყებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

**ბაქოში.**

„კამლოს" საზოგადოების საწყობს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა სამ-ნახევარ მილიონის საქონელი.

**ვიატკაში.**

ვიატკის ბოლშევიკების საგანგებო კომისია მოითხოვს, სასტიკი სასჯელის შემოღებას.

**პეტროგრადში.**

„უტრო მოსკვის" გადმოცემით პეტროგრადში გამოქვეყნებულ საგანგებო კომისიის, მოქმედების შედეგები. 5,520 — დაპატიმრებულიდან დაუხვრეტიათ—806 კაცი.

**ყაზანის ევაკუაცია.**

ყაზანის ევაკუაცია დაიწყო. ბოლშევიკების საბჭო და ყველა დაწესებულებები სამარაში გადაიტანეს.

**ულტიმატუმი ბოლშევიკებისადმი.**

კიევის პოლიტიკურ წრეებში ფინეთიდან მიღებულია ცნობა, რომ ინგლისის ფლოტს, რომელიც ამ ჟამად ლიბავაში სდგას, ებრძანა ულტიმატუმით მოსთხოვოს საბჭოს მთავრობას მოსკოვში, რომ მან მთელი ძალა უფლება გადასცეს იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც მოკავშირეთა სახელმწიფონი და რუსეთის სახელმწიფოებრივი პარტიები შეთანხმებით აირჩევენ.

მოკავშირენი აცხადებენ, რომ თუ ბოლშევიკებმა ერთი თვის განმავლობაში უარი არა სთქვეს ხელმწიფებაზე და ყველა უფლებები არ გადასცეს, მაშინ პოლონეთით და ფინეთით და აგრეთვე სამხრეთით მთელი ძალებით შეუტევენ მოსკოვს და საბჭოს რუსეთს მოსპობენ. ულტიმატუმით ინგლისის ფლოტი ბალტიის ზღვითაც ემუქრება.

**გერმანული პრესა.**

დანციგის და ზემო შლეზვიგის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რკინის გზელებმა გადასწყვიტეს საერთო გაფიცვით პროტესტი განაცხადონ გერმანიის ოლქების ოკუპაციის გამო პოლონელთა მიერ.

სასოფლო მეურნეობის უწყების სტატს-სეკრეტარი ავგუსტ მიულერი გაემგზავრა ლიუქსენბურგში რომ მოაწესრიგოს დამოკიდებულება რეინის მარჯვენა და მარცხენა მხარეს შორის.

ქვანახშირის ოლქებში და ზემო შლეზვიგში გაფიცვები დასრულდა.

22 დეკემბერს გაიხსნა შვეიცარიის სოც.-დემოკ. პარტიის ყრილობა. პარტიის ლიდერათ არჩეულია გუსტავ მიულერი.

ჰოლანდიის სოც.-დემ. ლიდერი ტრელსტრი ჩამოვიდა გერმანიაში საიდანაც ლოზანაში გაემგზავრა.

ადმირალი ბახმანი და რიტერ ფონ ჰიპერი მათივე თხოვნით, სამსახურიდან გადადგენ ჰიპერი ფლოტის უფროსი იყო, ბახმანი კი კილის უფროსი.

# უკრაინიდან ჩამოსულთა ნაამბობი

ფოთი, 22 დეკემბერი.

უკრაინიდან ამ დღეებში ჩამოვიდა რამოდენიმე რუსის ოჯახი. რომელთაც წინათ დასტოვეს საქართველო მათი გადმოცემით ბევრია ამ ჟამათ უკრაინიდან და რუსეთიდან საქართველოში წამოსვლის მსურველი, მაგრამ ეშინიანთ,—ვაი თუ საქართველოს მთავრობამ არ მიგვიღოსო „იქაურ თეთრ პურს, აქაური შიმშილი სჯობიაო", სთქვა ერთმა რუსმა.

ადესაში ამ ჟამათ გერმანიიდან და ავსტრიიდან დაბრუნებული 3,000 მდე ქართველი ტყვე ჯარისკაცია, რომელნიც უმწეო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი სიმშილითა და სიცივით. ბევრი კვდება და ბევრიც ყაჩაღობას და ძარცვა-გლეჯას მიმართავს. სამშობლოსაკენ გამგზავრების იმედი ბევრს მათგან დაუკარგავს კიდეც.

იყო ერთი შემთხვევა, როცა ქართველი ტყვეები ჩასხდნენ გემში დაწინ იყო გემიც უნდა გამოსულიყო, რომ მოხალისეთა ჯარი ტყვიისმფრქვეველებითა და ზარბაზნებით დაემუქრა მათ: თუ არ ჩამოხვალთო, სულ ერთიანათ ამოგწყვეტთო...

ადესა პეტლიურას ჯარმა დაიკავა მოკავშირეთა ჯარები, რომელნი

ც

ახლოს იყვნენ ადესასთან ნეიტრალობას იცავდნენ და იცავენ ეხლაც. საჭიროა სწრაფი ზომების მიღება ჩვენი ტყვეების დასახმარებლათ, წინაამდეგ შემთხვევაში, მათ განადგურება მოელის,

უკრაინიდან ჩამოსულნი, განურჩევლათ ეროვნებისა. რომელიც უკვე გაეცნენ საქართველოს სომხეთის დამოკიდებულების საკითხს, გაკვირვებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ომი მხოლოდ 1C დეკემბერს დაწყებულა, მაშინ, როცა უკრაინის გაზეთებში ცნობები იყო „კავკასიიდან ჩამოსულების“ გადმოცემით, რომ სომხეთ-საქართველოს შორის ომი ოქტომბრის დამლევიდან უკვე სწარმოებსო.

## ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.

(26 დეკემბრის სხდომა).

სხდომა იხსნება 11 ნახევარ საათზე. ექსპერტიზას გადაეცა ორი წერილი, რომელიც ეკუთვნის გ. ჩალხუშიანს. ექსპერტიზას დასკვნით ორივე წერილები ეკუთვნის ერთ და იგივე პირს.

**ბრალდებული შმავაილოვი.** იმის გამო, რომ ამ პროცესის დროს გამოირკვა ბევრი ისეთი რამ, რაც ჩემთვის უცხო იყო აქნამდის, მე მინდა განვაცხადო შემდეგი: ჩალხუშიანს მე ძალიან ცუდათ ვიცნობდი. ვიცნობდი თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნის ის და თუ მე ის მოვიხმარე ამ საქმეში, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა კაცი არ იყო და საქმის დაყოვნება კი შეუძლებელი იყო, ვინაიდან მე მომივიდა ბრძანება, რომ ეს საქმე დამეჩქარებია. სხვა პირებთან ჩემს ნაცნობობას მე კატეგორიულათ უარვყოფ და მასთან არავითარი კავშირი არ მქონია.

**თავმჯდომარე.** გქონდათ თუ არა თქვენ რაიმე იდეური კავშირი ჩალხუშიანთან. აი მაგალითად თქვენ ლაპარაკობდით, რომ ჩალხუშიანში თქვენ ხედავდით ისეთ კაცს, რომელსაც სწადდა რუსეთის აღდგენა.

**ბრალდებული შმავაილოვი.** მე ვლაპარაკობდი ჩემ ჩვენების იმ ნაწილზე, რომელიც ეხება ჩალხუშიანის პოლიტიკურ რწმენას. ვიმეორებ მე ეს არ ვიცოდი. ვიცოდი მხოლოდ, რომ ის იღწვოდა რუსეთის აღდგენისათვის.

**თავმჯდომარე.** თქვენ რომ დარწმუნებულიყავით, რომ ჩალხუშიანი მოქმედობს ვიწრო პარტიულ ან არარატის რესპუბლიკის ინტერესების მიხედვით, დაიხმარებდით თუ არა მას ამ საქმეში?

**ბრალდ. შმავ.** არა, არ დავიხმარებდი. მაშინ მე უნდა მეძია სხვა თანამშრომელი გერმანიის წინაამდეგ მოკავშირეთა ინტერესების დასაცავათ. მოკავშირეების მიზანი კი იყო ბოლშევიკებთან ბრძოლა. და ბოლშევიკები მე მძაგს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ დაანგრიეს რუსეთის მთლიანი სხეული, არამედ იმიტომაც, რომ მათ გაანადგურეს ჩემი ოჯახი. მათ მოჰკლეს ჩემი ძმა, შეიპყრეს დედა ჩემი და აიძულებდენ მუშაობას მანამდე, სანამ ისინი არ მოისურვებდენ, რომ მისთვის მოესპოთ სიცოცხლე და ეს კიდეც შეასრულეს. და სწორეთ ამ დროს მოვახდინე მე ხიდის აფეთქება მოკავშირეთა სურვილის თანახმად.

**თავმჯდ.** გამოძიება დასრულებულია. სიტყვა ეკუთვნის ბრალმდებელს.

**ბრალმდებ. ახმეტელაშვილი.** მე მინდა გავარჩიო ეს საქმე ორი მხრით. საზოგადოებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით. დავიწყებ ბრალდებულ შმავაილოვიდან.

თქვენ გახსოვთ მისი ახსნა-განმარტება, რომლებიც თითქმის სავსე იყო გულწრფელობით. მის სიტყვებს შეეძლოთ მოესყიდათ ადამიანის გული.

მაგრამ თუ კარგათ ჩაუკვირდებით მის სიტყვებს დაინახავთ, რომ მათში არის ბევრი დაუთავებელი და გამოურკვეველი.

ის თითქოს გამოტყდა თავის დანაშაულში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ის გამოტყდა მხოლოდ იმიტომ, რომ მას სხვა გასავალი არ ჰქონდა. ის უნდა გამომტყდარიყო. და ეს ძლიერი ადამიანი დაკითხვის დროს იბნევა. და აი აქ ის ღალატობს თავის გულწრფელობას. მან თითქოს არა იცის, თუ ვინ იყვნენ მისი თანამშრომლები. ამ შემთხვევაში არის დიდი წინაამდეგობა მისსა და კაჩარიანის ჩვენებებში. ის ბევრს არ ლაპარაკობს.

მან ჩაიდინა დანაშაული და ამბობს, რომ საქართველოს რესპუბლიკის წინაამდეგ მას არა ჰქონდა რა. მაგრამ სწორედ რომ საქართველოს წინაამდეგ არის მიმართული მისი მოქმედება და მას რომ ბოლომდის მიეყვანა თავისი ბნელი სურვილი, რომ გაენადგურებია სრულებით ხიდი ხომ საშინელი შედეგები მოყვებოდა. ხიდი რომ აფეთქებულიყო რა მოელოდა საქართველოს? აუცილებლათ მას მოჰყვებოდა დიდი უბედურება. მაგრამ ხიდი არ აფეთქდა სავსებით და ეს არა შმავაილოვის სურვილის თანახმა, არამედ რაღაც შემთხვევისა გამო.

შმავაილოვი ამტკიცებს, რომ ის არ იცნობს კაჩარიანცს. და კაჩარიანიც უარს ამბობს მის ნაცნობობაზე. მაგრამ მე კი ვიცი, რომ ისინი თავიდანვე ძალიან კარგი ნაცნობები იყვნენ, ერთად იყვნენ და არც ეხლა შორდებიან ერთი მეორეს. კაჩარიანს იჭერენ თითქმის იმავე დროს როგორც შმავაილოვს. მან ამ საქმის ყოველივე იცოდა: აბა რით აიხსნება ის, რომ მათ ხედავენ ერთად. ის სცდილობს გაიქცეს. და სცდილობს გაიქცეს მხოლოდ იმიტომ, რომ დამნაშავეა. ის სასტიკ წინაამდეგობას უწევს ადმინისტრაციას, იმიტომ, რომ დამნაშავეა.

კაჩარიანცი ამბობს, თითქოს ის წავიდა სასეირნოთ. შემდეგ იმასაც ამბობს, რომ ის წავიდა სურსათის საყიდლათ მცხეთაში მას თითქოს განზრახული ჰქონდა ცხვრების, ქათმებისა და სხვ. ყიდვა. მაგრამ როგორ დავიჯეროთ, ეს როდესაც 100 მანეთის მეტი არ აღმოაჩნდა ჯიბეში.

შემდეგ მისი საქციელი გლეხების წინაშე ამტკიცებს მის მონაწილეობას ამ საქმეში.

მესამე დამნაშავე გიულიულიანს იჭერენ მაშინ, როდესაც ჩხრეკენ ჩალხუშიანის სახლს. მას აღმოაჩნდა წერილები.

ბრალმდებელი ამის შემდეგ მოითხოვს პირველ ორ დამნაშავეთა დასჯას იმ მუხლის ძალით, რომელიც მათ წამოუყენეს, ხოლო მესამე უნდა დასჯილ იქნეს, იმდენად რამდენადაც მან იცოდა საქმის ვითარება და არ შეატყობინა ადმინისტრაციას.

**ბრალმდ. კანდელაკი** მოითხოვს, რომ ყველა ბრალდებულები დასჯილი იქნენ ერთნაირათ, ვინაიდან მათთვის ამ ბოროტმოქმედების მოტივები ერთი და იგივე იყო. ბრალდებული შმავაილოვი ამბობს, რომ ის მოქმედებდა მოკავშირეთა ინსტრუქციების თანახმათ და ხიდის აფეთქება საჭირო იყო მათ ინტერესების დასაცავათ. ხიდის აფეთქება ზიანს მოუტანდა გერმანელებს და საქართველო კი იქნებოდა მოკავშირეთათვის. მაშ მოკავშირეთათვის რომ საჭირო ყოფილიყო შმავაილოვი ააფეთქებდა სურამის გვირაბსაც, რიონის ხიდსაც. როგორც მან სთქვა, ის თურმე ძალიან კარგათ იცნობდა ყოფილ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, იმ ოთახების მდებარეობას, სადაც გერმანელებს საწყობები ჰქონდათ გამართული. მოკავშირეთათვის რომ საჭირო ყოფილიყო მაშ ის ააფეთქებდა ამ გიმნაზიასაც. ააფეთქებდა ის მთელ თბილისსაც. ბრალდებულმა სთქვა, რომ მას მოუვიდა ბრძანება, და დაასკვნის, რომ ეს ბრძანება იყო მოკავშირეებისაგანო. მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია. მას ეს ბრძანება მოუვიდა ერევნიდან.

ამ საქმესთან მჭიდრო კავშირი აქვს დაშნაკელთა პარტიას.

**ბრალდებული** ეხება ამ პარტიის მოღვაწეობას და აღნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო საქართველოს წინაამდეგ ბრძოლა. ამას სხვათა შორის ამტკიცებს ის დოკუმენტი რომელიც ჩვენ ჩაგვივარდა ხელში. ეს გახლავთ წერილი ერთი დაშნაკელისა მეორე გამოჩენილ დაშნაკელთან გ. ჩალხუშიანთან—როსტოვში.

და სომხეთის ბნელ წრეების იდეების და მიზნების შემსრულებელნი დღეს სხედან აქ. ხალხი მოელის სასამართლოს მსჯავრს და მსჯავრი უნდა იყოს სასტიკი.

სამოქალაქო მომჩივანი **დემიდოვი.** გამოდის ხაზინის სახელით და მოითხოვს, რომ ხაზინის ზარალი. ხიდის აფეთქების გამო, ანაზღაურებულ აქნეს. ზარალი უდრის 215,520 მან.

სამოქ. მომჩივანი **პ. ქავთარაძე.** ბრალდებული კაჩარიანი უარყოფს მის ნაცნობობას შმავაილოვთან, მაგრამ უნდა მოვახსენოთ ეს სიმართლეს მოკლებულია. როგორ შეიძლება, მაგალითად, შემდეგი: როდესაც შმავაილოვი და კაჩარიანი მოდიან თბილისისაკენ კაჩარიანი, გაიგონებს რა მდევნელების ხმას, ეუბნება პირველს: „რას ეტყვი შენ, რომ გკითხონ შენი ვინაობა“. თუ ისინი ერთი მეორეს არ იცნობდენ და თუ კაჩარიანს რაიმე დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი, რისთვის აძლევს ის თავის თანამგზავრს ასეთ პასუხს და რათ ემალება ის იმ ხალხს, რომელთა ხმა მას მოესმა. შემდეგ როდესაც ისინი მირბიან და შმავაილოვი გულის სისუსტის გამო მიწაზე ეცემა, კაჩარიანი ეუბნება მას „გავიქცეთ, თორემ მოგკლავ“.

თუ კაჩარიანი დამნაშავე არ არის, რათ ეშინია მას შმავაილოვის დაჭერის.

ამ წვრილმანებზე მე მინდა მიუთითო სასამართლოს.

შემდეგ ერთი ფრიად საინტერესო საკითხი. რისთვის მოხდა ხიდის აფეთქება მაინცა და მაინც პირველ ნოემბერს. აქ არის ღრმა მიზეზები საერთაშორისო ხასიათის. საქმე იმაშია, რომ დაშნაკელთა პარტია ყოველთვის, რაღაც, იმედის თვალით უყურებდა მოკავშირეთა აქ ჩამოსვლას. და სწორედ მათ ჩამოსვლის დროს საჭირო იყო მათთვის აგრესიული მოქმედების დაწყება საქართველოს წინაამდეგ. მაგრამ ისინი შესცდენ. ისინი მოელოდენ მოკავშირეებს იმ ხანებში, როდესაც აფეთქდა ხიდი... მოკავშირეებს დააგვიანდათ.

ხიდი კი აფეთქებული დარჩა. მათ ვერ შეუფარდეს თავის მოქმედება საერთაშორისო მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ შმავაილოვი სასამართლომდე არას ამბობდა. ირწმუნებოდა, რომ ის სიტყვით არის შებოჭვილი მოკავშირეებთან. მაგრამ ცხადია, რომ მას ჰქონდა მიცემული სიტყვა არა ინგლისელებზე, არამედ სხვაზე. და მართლაც რადა მაინც და მაინც სასამართლოს დროს გაანთავისუფლეს ის სიტყვიდან მოკავშირეებმა. მისი სიტყვიდან განთავისუფლება კი ჩემის აზრით მოხდა მაშინ, როდესაც სომხეთმა ომი გამოგვიცხადა.

და რომ პირობები ხელსაყრელი ყოფილიყო მათთვის, ხიდის აფეთქებაც და შეტევაც საქართველოზე მოხდებოდა ერთ და იმავე დროს.

რაიცა შეეხება პოლკ. ჯორდანის მოწმობას, ასეთი მოწმობები ხშირათ იწერებოდა სასტუმრო „ორიანტში“ რ. ჩალხუშიანის ოთახში. ასე რომ მას არავითარი ღირებულება არა აქვს.

ორატორის დასკვნა ასეთია: ბრალდებულები არიან საქართველოს წინაამდეგ მომქმედ ძალების წარმომადგენლები. მათ, ამ ძალების ხელმძღვანელობით საქართველოს ტერიტორიაზე მოახდინეს აფეთქება და ამიტომ დასჯილ უნდა იქნენ. ზარალი სახელმწიფოსი უნდა ანაზღაურდეს.

ამის შემდეგ კამათი გადაიდო შემდეგ სხდომისათვის. **ქ.**

## ჩვენი ჯარისათვის.

ომის საჭიროებისათვის და ჯარის სადღესასწაულო საჩუქრებისათვის მიღებული შემოწირულება ამიერკავკასიის ბანკში:

ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე 1200 მ., დათეშიძე რაჟდენ ყარამანის ძე 1100 მ., ქუთათელაძე დავით ვასილის ძე 600 მ., თურქია ივანე მათეს ძე 668 მ., სტურუა ისიდორე ივანეს ძე 676 მ., შათირიშვილი იოსებ ვასილის ძე 480 მ., მუმლაძე გიორგი ესტატეს ძე 104 მ., მხეიძე აკაკი სერგის ძე 396 მ., მხეიძე კონდრატი სერგის ძე 396 მ., ჯორჯაძე გიორგი 356 მ., ბრეგაძე ვლადიმერ იოსების ძე 332 მ., ლორთქიფანიძე შალვა ყარამანის ძე 346 მ., პლესნინი ნიკოლოზ სტეფანეს ძე 376 მ. ტრესკინი კონსტანტინე კაპიტონის ძე 316 მ., შაბანოვას ასული მარიამი 252 მ., ქუთათელაძის ასული ნადია 244 მ., ჰელიძის ასული მარიამი 228 მ., აფაქიძის ასული თამარა 208 მ., გაგუას ასული ვალენტინა 208 მ., თვაური ბარის 40 მ., ბაკურაძე პანტელეიმონ 80 მ., გოქლამაზაშვილი ეფრემ 40 მ., პეტრიჩევი გაბრიელი 40 მ., გუჩმაზაშვილი ანდრია 60 მ., ჯაყელი ნიკოლოზ 500 მ., ქავთარაძე ვ. 50 მ., აგლაძე ნ. 50მ., ბერელაშვილი, ქიქოძე და ფიდაროვი 1000 მ., გვაზიჩავა ნესტორ 500 მ., დათეშიძე კონსტანტინე ყარამანის ძე 250 მ., ციციშვილი ირაკლი 50 მ., ბარათაშვილი აკაკი 100 მ., წერეთელი პეტრე 200 მ., მესხი კონსტანტინე ერთი ოქროს ბეჭედი; ბენდუკიძე სპირიდონ 1000 მ., ბოლქვაძე ვას. 50 მ., ბოკერია ევგენი გრიგოლის ძე 300 მ., ავალიანი გიორგი ლუკას ძე 1000 მ., ქვლივიძე გაბრიელ 1000 მ., ბოთერაშვილი რაფიელ 100 მ., მდივანი ნიკოლოზ გურგენის ძე 100 მ. ჯამი—15,416 მან.

— —

ქართულ სახელოვნო-მოქმედო საზოგადოებამ მიიღო შემოწირულება საქართველოს მხედრებისათვის შემდეგ პირებისაგან: მ. მორჩილაძისაგან შეგროვილი ყოფილ სახაზინო პალატისა და ხაზინის მოსამსახურეთა შორის განსვენებულის ი. ტერსტეპანიანცის ხსოვნის აღსანიშნავად 210 მ., რ. კ. გაგანიძისაგან 75 პაჩ. პაპიროსი და 12 კარ. წუმწუმა, ნ. დოლონიძისაგან 50 მ., ს. კასპარიანცისაგან 20 მ., მარიამ ვ. მაჩაბელისაგან 250 მ., ა. მ. დოლაბერიძისაგან 1000 მ., ს. ი. იასეშვილისაგან 500 მ., ს. ს. კოტორაშვილისაგან 1000 მ., რ. ი. გოგინაშვილისაგან [illegible] ჭორაძისაგან 25 მ.

მთავარი [illegible] ლობას სწირავს შემომწირველთ.

## სია დღესასწაულების.

**1919 წ. უქმი დღეები.**

**იანვარი.** ახალი წელიწადი. 7 და 8 შობა ქრისტესი. 19 იანვ.—ნათლის-ღება უფლისა.

**თებერვალი.** 15 მირქმა უფლისა.

**მარტი.** არ არის.

**აპრილი.** 7 ხარება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა. 18 და 19 პარასკევი და შაბათი ვნების კვირისა. 21 და 22 ორშაბათი და სამშაბათი აღდგომის კვირისა.

**მაისი.** 1—მუშათა ინტერნაციონალი. 26 საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, 26—ამაღლება უფლისა.

**ივნისი.** 8—მეორე დღე სულიწმიდის მოფენისა.

**ივლისი.** არ არის.

**აგვისტო.** 19—ფერისცვალება უფლისა. 29 მიძინება ყოვლად წმიდა ღვთ. მშ.

**სექტემბერი.** 21—შობა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა. 7—ჯვართამაღლ. უფლ.

**ოქტომბერი** არ არის.

**ნოემბერი.** არ არის.

**დეკემბერი.** 4 ტაძრად მიყვანება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა.

და ყველა კვირა დღეები.

## წერილი რედ. მიმართ.

გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი: საქართველოს სოც. რევ. პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი ულრმეს მადლობას უცხადებს ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინესძე ბერიძეს, 185 მანეთის შემოწირვისთვის.

**კომიტეტი.**

## მატარებლების მიმოსვლა.

საქართველოს რესპუბლიკის რკინისგზებზე 20 ნოემბრიდან მატარებლები შემდეგი წესით ივლიან:

მატარებელი № 1—გადის თბილისიდან—17 ს. და 42 წ.,
ხაშურიდან—22 ს. და 22 წ.,
რიონიდან—3 ს. და 09 წ.,
ჩადის ფოთში—6 ს. და 33 წ.,
„ № 3 გადის თბილისიდან 10 ს. და 25 წ.,
„ ხაშურიდან 18 ს. და 04 წ.,
„ რიონიდან—23 ს. და 21 წ.,
გადის ფოთში—4 ს. და 36 წ.,
„ № 5 გადის თბილისიდან— 22 ს. და 30 წ.,
„ ხაშურიდან—4 ს. და 02 წ.,
„ რიონიდან—9 ს. და 18 წ.,
ჩადის ფოთში—13 ს. და 08 წ.,

**გ ა მ ო დ ი ს:**

მატარებელი № 2 ფოთიდან— 20 ს. და 49 წ.,
0 ს და 14 წ.,
რიონიდან—ან—5 ს. და 01 წ.
ოთიან 22 ს. და 34 წ.,
№ 4 იონიდან—4 ს. და 30 წ.,
რურიდან—12 ს. და 15 წ.,
ხაშისში მოდის 18 ს. და 25 წ.,
თბილფოთიდან—16 ს. და 11 წ.,
№ 6 ხაშურიდან—2 ს. და 33 წ.,
თბილისში მოდის 7 ს. და 20 წ.

მატარებლები №№ 1 და 2, სწრაფა, თბილისსა და ფოთს შუა, ყველა ვაგონების საჯდომი ადგილები დანომრილია. პლაცკარტი ღირს სამგზავრო ბილეთის ფასის გარდა, 20 მან. ყველა ვაგონებში.

მატარებლები №№ 5 და 6—სამგზავროა თბილისსა და ფოთის შუა, ყველა ვაგონებში საჯდომი ადგილები დანომრილია, პლაცკარტი ღირს გარდა სამგზავრო ბილეთის ფასისა 10 მან. ყველა კლასებში.

მატარებლები № 3 და 4—საფოსტოა თბილისსა და ფოთს შუა პლაცკარტოა.

**სარედაქციო კოლეგია.**

**გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.**